პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 20 აპრილი, 1949 წ. № 77 (8380). ფასი 20 კაპ.

„ამჟამად, როცა მიღწეულია სერიოზული წარმატებანი მარცვლეული მეურნეობის აღმავლობაში და შექმნილია საჭირო წინაპირობები მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, მთელი სიგრძე-სიგანით დადგა მეცხოველეობის ყოველმხრივ განვითარების ამოცანა, როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ცენტრალური ამოცანა სოფლის მეურნეობის განვითარებაში“.

(სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან)

ცენტრალური ამოცანა სოფლის მეურნეობის განვითარებაში

დღეს „პრავდა“ აქვეყნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიან გეგმის (1949-1951 წ. წ.)“. მისი წარმატებით განხორციელება იქნება ახალი დიდი ნაბიჯი წინ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარებისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლისათვის საკორო პროდუქტების სიუხვის შექმნის გზაზე.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმა ცხადყოფს, თუ რა თანმიმდევრული წარმატებით წყდება პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისა და განვითარების ამოცანები. გერმანელების წინააღმდეგ ხანგრძლივი და ძნიმე ომის დამთავრებისთანავე, პარტიამ მოაწყო მარცვლეული მეურნეობის აღმავლობა, რომელიც წარმოადგენს საშუალებას სოფლის მეურნეობის ყველა პრობლემის გადაჭრისეულად. ამის შედეგად მარცვლეული მეურნეობის პრობლემა ახლა ძირითადად გადაწყვეტილია და შემდგომ წარმატებებს ამ დარგში მტკიცე საფუძველი აქვს. ჩვენი ქვეყანა შეუდგა უზარ და მყარი მოსავლის მიღებისათვის ველებისა და ტყე-ველების ბუნების გარდაქმნის გრანდიოზული გეგმის განხორციელებას.

მარცვლეული მეურნეობის მკვეთრმა აღმავლობამ შექმნა პირობები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის წარმატებული განვითარებისათვის. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა მეცხოველეობას, რომლის განვითარებასაც პარტიამ ხელმძღვანელობა აქვს მოსახლეობის ხელმძღვანელობა ამ ნაწილში ბოლო ხანებში ნედლეულით მომარაგებისათვის.

„ამჟამად, — ნათქვამია სამწლიან გეგმაში,— როცა მიღწეულია სერიოზული წარმატებანი მარცვლეული მეურნეობის აღმავლობაში და შექმნილია საჭირო წინაპირობები მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, მთელი სიგრძე-სიგანით დადგა მეცხოველეობის ყოველმხრივ განვითარების ამოცანა, როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ცენტრალური ამოცანა სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ამასთან საჭიროდ არის ცნობილი გადაისინჯოს ბოლო ხანებში მინიშნები ბოლო ხანებში ბალახეულობის ფერმებში პირუტყვის სულადობის არსებული მინიმუმი მისი მნიშვნელოვანი გადიდების მიმართულებით.

მეცხოველეობის განვითარების დონე მეტწილად დამოკიდებულია საკვები ბაზის მდგომარეობაზე. მტკიცე საკვები ბაზის უკონლობა დღემდე მთავარი დაბრკოლება იყო პირუტყვის სულადობის სწრაფი ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისა. სამწლიანი გეგმა ხახავს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკვები ბაზის განმტკიცების კონკრეტულ ზომებს. ვათვალისწინებულია აგრეთვე უხვში და ჭენიანი საკვების მოსავლის გადიდების, ბუნებრივი მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების, ბალახთესვის განვითარებისა და მარცვლეულის საფურაჟე ფონდების შექმნის ისეთი ტემპი, რომელიც უზრუნველყოფს პირუტყვის უხვ კვებას როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის პერიოდში.

სამწლიანი გეგმის დავალებათა განხორციელებაში განსაკუთრებით დიდი როლი უნდა შეასრულონს პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა საკვების დამზადებისა და კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში. შრომატევადი ხელშუბოების მექანიზაციის დარგში. სამი წლის მანძილზე უნდა დამთავრდეს ბალახის ალების, სილოსის ჩადების, ძირხვენების თესვისა და მოსავლის აღების, რძის გადამუშავების სრული მექანიზაცია. ამასთან ერთად ფართოდ დაინერგება ფერმებში წყლის მიწოდების, საკვების მომზადების, პირუტყვის მოვლის სამუშაოების მექანიზაცია, ტრანსპორტის მექანიზაცია, აგრეთვე ძრობების ელექტრომექანიკური წყლის და ცხრების ელექტროსარსა. განვითარებული მეცხოველეობის რაიონებში იქნება სპეციალიზებული მტნ-ები. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს დავალებული აქვს მკვეთრად გაადიდოს მეცხოველეობის ფერმებისათვის მანქანებისა და მოწყობილობის წარმოება.

სამწლიანი გეგმა განსაკუთრებულ ამოცანებს უსახავს საბჭოთა მეურნეობებს. პირუტყვის სულადობის გადიდებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის ბრძოლასთან ერთად, ისინი მოვალენი არიან ბოლო მოუღონ წარმოების ცალმხრივ განვითარებას, გაჰღინონ წამყვანი მეურნეობანი მეცხოველეობის თვისობრივი განვითარების საქმეში. საჭიროა მეცხოველეობა განვითარდეს მარცვლეულის და მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე ტექნიკური კულტურების საბჭოთა მეურნეობებში, ბოლო მოუღოლონ საბჭოთა მეურნეობების მეტისმეტ სპეციალიზაციას, გადავქცევნი ისინი ბრიგადმრივ განვითარებულ მეურნეობებად დარგების სწორი შეხამებით.

მეცხოველეობის ჯანსაღი აღმავლობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სწორად შეკავშირებთ სულადობის ზრდას პირუტყვის ბასობრივ თვისობრივ გაუმჯობესებასთან და მისი პროდუქტიულობის გადიდებასთან. გეგმა ხაზს ამცავსას — ყოველმხრივ გავადიდოთ მალალპროდუქტიული ჯიშიანი პირუტყვის რეპროდუქცია და მივაღწიოთ იმას, რომ 1951 წლის დამლეგისათვის გაუმჯობესებულთა მალალპროდუქტიული პირუტყვი შეადგენდეს: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი კოლმეურნეობებში — სულადობის სულ მცირე 50 პროცენტს და საბჭოთა მეურნეობებში — სულ მცირე 90 პროცენტს; ცხვარი — კოლმეურნეობებში სულ მცირე 80 პროცენტს და საბჭოთა მეურნეობებში — 100 პროცენტს; ღორი — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სულადობის 100 პროცენტს.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების მთელ ო�ზომებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მეცხოველეობის კადრების მომზადებას, კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში შრომის სწორ ორგანიზაციასა და ანაზღაურებას, ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესებას და მეცხოველეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერას. პირუტყვის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების დაკავშირებით შეიძლება წარმატებით შესრულდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ მეცხოველეობის თვითეული ფერმაში იქნება მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობა, თუ მეცხოველეობის კადრები შეიუხება თავისი საქმის ოსტატთა ახალი ათასეულით, რომლებიც დაუფლებულნი არიან მაჩუქინოელ მეცხოველთა და თავდადებულად იხდიან თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე. საყოველთაო მხურვალე მოწონებას პოულობენ სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზახალინების ზომები წარმატებებისათვის მეცხოველეობის განვითარებაში. მეცხოველის შრომა სასაკუთ შრომაა, რომელიც ღირსია ყველაზე მაღალი ჯილდოსა და პატივისა!

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა მკაფიო დადასტურებისა პარტიის, მთავრობის, ამხანაგ სტალინის დაუღალავი ზრუნვისა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდისათვის. მაშინ, როცა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები ყოველდღე განიცდიან სიმშილისა და სიღატაკის უფრო და უფრო მეტ ზამეულს, ბოლო კაპიტალისტური წყობილების ცრუ ადვოკატები ცდილობენ მასების პროგრესიული სიღატაკე ახსნან სხვადასხვა რეაქციული „თეორიებით“, —ამ დროს საბჭოთა ხალხი განუხრელად იაღლუს თავის საარსებო დონეს და მტკიცედ მიდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისაკენ.

მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულებით კოლმეურნეები, მტნ-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მიაღწევენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომ განმტკიცებას, ხელისუფლური სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების უმაგალითო აყვავებას. შორს არ არის ის დღე, როცა ჩვენი ქვეყანა აივსება პურით, ხორცით, ერბო-კარაქითა და სხვა პროდუქტებით და ვიხდეს უფრო მდიდარი და უფვი.

მაშ, დაფარაზმით მთელი ჩვენი ძალები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის განხორციელებისათვის, ხელისუფალური სოფლის მეურნეობის ახალი ძმლავრი აღმავლობისათვის საბრძოლველად!

„პრავდა“ 19/IV

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა (1949-1951 წლები)

პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ჩვენმა ქვეყანამ ომისშემდგომ პერიოდში დიდ წარმატებებს მიაღწია მიწათმთმქმედების აღმავლობაში. ახლა უკვე შეიძლება თქვას, რომ მიუხედავად განიხაგებისა, რაც გერმანელებმა წინააღმდეგ ხანგრძლივმა და მძიმე ომმა გამოიწვია, მიუხედავად სერიოზული ზარალისა, რაც სოფლის მეურნეობას 1946 წლის ძლიერმა გვალვამ მიაყენა, მარცვლეული მეურნეობის პრობლემა ძირითადად გადაწყვეტილია და ამ დარგში შემდგომ წარმატებებს მტკიცე საფუძველი აქვს.

სხვანაირად არის მეცხოველეობის საქმე. სოფლის მეურნეობის ეს დარგი ჩვენს ქვეყანაში ჩამორჩენილია. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობა ომამდეც ცოტა ზომებით ნაწილობრივ წლებშიც საკმაოდ არ იყო განვითარებული, ხოლო ომის წლებში იგი ძალიან შემცირდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის სრული მოსპობის შედეგად ინ ოკუპაციისა, აგრეთვე ომის დროს არმიის საჭიროებისათვის ხორცის ბარგის გადიდების გამო. და თუმცა ომისშემდგომ წლებში, განსაკუთრებით 1948 წელს, დიდი მუშაობა ჩატარდა პირუტყვის სულადობის გასაადგილებლად, ჩამორჩენა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის.

ბოლო მოვლენთა ჩამორჩენის საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში, წამოწყოთ იგი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიწანაგე დარგების დონემდე, გადავიდეთ, ამრიგად, მთელი ფრონტით შეტევაზე სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში—აი რა არის ახლა კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარი ამოცანა. „სპრინტა, — ნათქვამია გეგმაში, — უმოკლეს ვადაში უზარმაზარ ეფექტთან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის ისეთი აღმავლობა, რომელიც ხელს შეუწყობს კოლმეურნეობათა კეთილდღეობის შემდგომ მნიშვნელოვან ზრდას და შესაძლებელს გახდის დაკმაყოფილდეს ხელმოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებენ ხორცზე, ცხიმებზე, რძესა და ბალიტი მრეწველობის ნედლეულზე, ამავე დროს ეს ეფექტი ეფექტი ეფექტ ეფექტ ეფექ ეფ ეფ ეფ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა

(1949-1951 წლები)

(გაგრძელება)

სათვის კარგი სარწყულებლები, როგორც ოვეების, ისე ბაგური კვების პერიოდებში.

8. ჩვენს ქვეყანაში ხორცის რესურსების გადიდებისა და ძროხის ხორცის ხარისხის ამაღლებისათვის:

ა) რჩევა მიეცეთ იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც დიდი საძოვრები აქვთ, მერძეულ პირუტყვთან ერთად მოაშენონ სახორაცე პირუტყვიც, და უდავოდ არასწორად ჩაითვალოს, როცა ბევრი კოლმეურნეობა, რომლებსაც დიდი საძოვარი მასივები აქვთ, მხოლოდ მერძეულ პირუტყვს ამრავლებს და არ იყენებს ბუნებრივ საკვებ ნაკვეთებს სახორაცე პირუტყვის მოსაშენებლად;

ბ) დაევალოს რაიონების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს მოაწყონ ყველა კოლმეურნეობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საძოვრებზე გასუქება და ბაგური კვება. ამ მიზნით ყოველწლიურად სასაძოვრო პერიოდის დაწყებამდე შეარჩინონ ზაფხულში გასასუქებლად სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვი, აგრეთვე ფარფოდ დანერგონ კოლმეურნეობათა პროექტში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასუქება როგორც საკუთარი წარმოების საკვებით, ისე კვების მრეწველობის ნარჩენებით.

9. დაევალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს დაუბრუნონ ერბო-კარაქის ქარხნებიდან ჩამბარებელ კოლმეურნეობებს მოხდილი რძე სულ მცირე 70 პროცენტის ოდენობით საშუალოდ წელიწადში და 100 პროცენტის ოდენობით ხბოების კვების პერიოდში. იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც აქვთ ჯიშიანი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმები და ჯიშიანი მეღორეობის ფერმები, მოხდილი რძე დაუბრუნდეთ მთლიანად.

კოლმეურნეობებში ცხვრის საზოგადოებრივი სულადობის და მეცხვარეობის პროდუქტიულობის გადიდების შესახებ

10. კოლმეურნეობებში ცხვრისა და თხის საზოგადოებრივი სულადობა აყვანილ იქნას: 1949 წლის დამლევისათვის სულ ცოტა 62,4 მილიონ სულამდე, მათ შორის 55 მილიონი სული ცხვარი, გარდა 26,5 მილიონი სული ცხვრისა და თხისა, რომლებიც პირად საკუთრებაშია, აქედან კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში—18,5 მილიონი სული, მუშა-მოსამსახურეებისა — 5,2 მილიონი სული, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობისა — 2,8 მილიონი სული, აგრეთვე გარდა ცხვრისა და თხის იმ სულადობისა, რომელიც საბჭოთა მეურნეობებში არის; 1950 წლის დამლევისათვის სულ ცოტა 73 მილიონ სულამდე, მათ შორის 65 მილიონი სული ცხვარი; 1951 წლის დამლევისათვის სულ ცოტა 88 მილიონ სულამდე, მათ შორის 80 მილიონი სული ცხვარი, გარდა ცხვრისა და თხის იმ სულადობისა, რომელიც იქნება კოლმეურნეების, მუშა-მოსამსახურეებისა და ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების პირად საკუთრებაში, აგრეთვე გარდა ცხვრისა და თხის იმ სულადობისა, რომელიც საბჭოთა მეურნეობებში იქნება.

11. მეცხვარეობის დარგში მთავარ ამოცანად იქნას მიჩნეული ნაზმატყლიანი და ნახევრადმქისემატყლიანი ცხვრის სულადობის და მათი მატყლის პროდუქტიულობის ყოველმხრივი გადიდება.

ამის მიხედვით დაევალოს ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს უზრუნველყონ კოლმეურნეობებში ნაზმატყლიანი და ნახევრადმქისემატყლიანი ცხვრის სულადობის გადიდება სულ ცოტა 23 მილიონ სულამდე 1949 წლის დამლევისათვის, 28 მილიონ სულამდე 1950 წლის დამლევისათვის და 35 მილიონ სულამდე 1951 წლის დამლევისათვის.

12. კოლმეურნეობებში ნაზმატყლიანი და ნახევრადმქისემატყლიანი მეცხვარეობის რაც შეიძლება სწრაფი აღდგენისა და შემდგომი განვითარების და ნაზი და ნახევრადმქისემატყლის მხრივ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით დაევალოს ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მიიღონ ზომები ნაზმატყლიანი და ნახევრადმქისემატყლიანი ცხვრის მოგლა-შენახვის, კვების გაუაუჯობესებლად, ნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარებისათვის ახალი საძოვრების ასათვისებლად და ამ საძოვრების წყლით უზრუნველსაყოფად.

კოლმეურნეობებში დაწესდეს მთავარობის მიერ მიღებული გეგმის შესაბამისად ცხვრებისა და ნაზმატყლიანი და ნახევრადმქისემატყლიანი ყოჩების შეჯვარების გეგმა 1949 წელს 15,3 მილიონი სულის რაოდენობით, 1950 წელს—18 მილიონი სულის და 1951 წელს 20 მილიონი სულის რაოდენობით. უზრუნველყოფილ იქნას ნაზმატყლიანი ცხვრის უფრო ძვირფასი ჯიშებისა, განსაკუთრებით ახალი საბჭოთა მაღალპროდუქტიული ჯიშების, შემდგომი გაუჯობესება და განვითარება. იერიძალოს ნაზმატყლიანი და ნახევრადმქისემატყლიანი დედაცხვრის მქისემატყლიანი ჯიშის ყოჩებით განერგვა.

13. ხორცის რესურსების გასადიდებლად და ცხვრის ხორცის თვისებათა გასაუჯობესებლად დაევალოს ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს, რომ ნაზმატყლიანი და ნახევრადმქისემატყლიანი ცხვრის რაოდენობის გადიდების დაკავშირება შესრულებასთან ერთად უზრუნველყონ:

ა) შუა აზიის რესპუბლიკებსა და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში—ღიმანი ცხვრის, განსაკუთრებით გისარის, ედილბაის, სარაჯლის ჯიშის ცხვრის სულადობის გადიდება და ამ ჯიშებით ადგილობრივი ნაკლებპროდუქტიული დუმბინი ცხვრის გაუმჯობესება, საძოვრებზე ცხვრის მოვლა-შენახვის შემდგომი გაფართოება სახორაცე და საქონე მეცხვაროებისათვის უდაბნოს და ნახევრადუდაბნოს საძოვრების ათვისების გზით;

ბ) ციმბირის ოლქებში — ნაზმატყლიანი და ნახევრადმქისემატყლიანი ჯიშის დაკოდილი ყოჩების გამოზრდის გადიდება, აგრეთვე ადგილობრივი მქისემატყლიანი ცხვრის სულადობის გადიდება;

გ) ეოლგისპირეთისა და უკრაინის სს რესპუბლიკის ოლქებში, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაისა და ყირიმში — ნაზმატყლიანი და ნახევრადმქისემატყლიანი ჯიშის დაკოდილი ყოჩების გამოზრდის გადიდება, ამ ყოჩების საძოვრებზე და ფარეხში (ბაგური) გასუქება;

დ) ცენტრალურ და ჩრდილოეთ ოლქებში — სახორაცე ნახევრადმქისემატყლიანი და სახორაცე და მატყლის მალამზრდი მეცხვარეობის განვითარება, მალამზარდი ჯიშების ქედლოს გამოზრდა და ფარეხში (ბაგური) გასუქება, აგრეთვე ჩრდილოეთის მრავალნაყოფიანი ცხვრის ხორცის რესურსების გასადიდებლად გამოყენება;

ე) ამერიკავკასიის რესპუბლიკებში— ადგილობრივი სახორაცე და მატყლის ცხვრის სულადობის გადიდება, ამასთან ზაფხულისა და ზამთრის სეზონური საძოვრების ფართო გამოყენება.

14. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, რომელთაც გადასარეკი საძოვრები აქვთ, ნაზმატყლიანი და ნახევრადმქისემატყლიანი მეცხვარეობის განვითარების დაკავებათა შესრულების შემდეგ მოაწყონ დუმანი სახორაცე და მატყლის და სხვა მქისემატყლიანი ჯიშის ცხვრის ფერმები, ისე რომ ცხვარი აუცილებლად ცალ-ცალკე ჰყავდეთ ჯიშთა ტიპების მიხედვით.

15. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, უზბეკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, უკრაინის სსრ, მოლდავეთის სსრ, ყირიმისა და ასტრახანის ოლქების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მიიღონ ზომები საკრაველ მეცხვარეობაში საკიზილ საქმის გასაუმჯობესებლად და უზრუნველყონ კრაველის პროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ამასთან განაძეკოდონ კოლმეურნეობათა საჯიშე ფერმების ქსელი და უზრუნველყონ მაღალი ჯიშის თავსებიან მწარმოებელთა შერჩევა.

კოლმეურნეობებში ღორის საზოგადოებრივი სულადობის გადიდებისა და მეღორეობის პროდუქტიულობის გადიდების შესახებ

16. კოლმეურნეობებში ღორის საზოგადოებრივი სულადობა აყვანილ იქნას: 1949 წლის დამლევისათვის სულ ცოტა 10 მილიონ სულამდე, გარდა იმ 7,2 მილიონი სული ღორისა, რომლებიც ახლა პირად საკუთრებაშია, აქედან კოლმეურნეების პირად საკუთრებაში—3,7 მილიონი სული, მუშა-მოსამსახურეებისა—1,6 მილიონი სული, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობებისა — 1,9 მილიონი სული, აგრეთვე გარდა ღორის იმ სულადობისა, რომელიც საბჭოთა მეურნეობებია; 1950 წლის დამლევისათვის სულ ცოტა 13 მილიონ სულამდე; 1951 წლის დამლევისათვის სულ ცოტა 18 მილიონ სულამდე, გარდა იმ ღორებისა, რომლებიც პირად საკუთრებაში ეყოლებათ კოლმეურნეებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებს, აგრეთვე გარდა ღორის სულადობისა, რომელიც საბჭოთა მეურნეობებში იქნება.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, ფერმებში ღორის საზოგადოებრივი სულადობის გასაადიდებლად და გასაუქებლად პირველ რიგში გამოიყენონ გაზაფხულზე მოგებული გოჭები.

17. მეღორეობის განვითარების დაწესებული გეგმის შესრულებისა და ღორის გასუქების ფართო მასშტაბით მოწყობის მიზნით, დაევალოს რაიონების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს:

ა) შემქმნან კოლმეურნეობებში მტკიცე საკვები ბაზა მეღორეობისათვის კარტოფილის, სიმინდის, ძირხვენების, ბალიეული კულტურების, პარკოსანი ბალახების, მარცვლეულ-საფუძვაე და სხვა საკვები კულტურების ნათესისა და მოსავლიანობის გადიდების გზით, ამასთან ამ საკვები კულტურების წარმოება განაკეთირონ სასოფლო-სამეურნეო ზონების თავისებურებათა გათვალისწინებით;

ბ) უზრუნველყოფილ იქნას, რომ უახლოეს ორ წელიწადში თვითეულ კოლმეურნეობაში, რომელსაც მეღორეობის ფერმა აქვს, შეიქმნას პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახის ხელოვნური საძოვრები თითო დედაღორზე 0,5 ჰექტარის ანგარიშით;

გ) მიიღონ ზომები ღორის მოვლა-შენახვის გასაუმჯობესებლად და მიაღწიონ, რომ თითო დედაღორზე საშუალოდ 12-14 გოჭი მიიღონ წელიწადში;

დ) 1949 წლიდან მოაწყონ კოლმეურნეობებში (გარდა იმ რაიონების კოლმეურნეობებისა, სადაც ყოფაცხოვრებითი პირობების გამო მეღორეობას არ მისდევენ) ღორის გასუქება: სასაქონლო მეღორეობის რაიონებში 3-4 აული ღორი წელიწადში თვითეულ 100 ჰექტარ ნახნავზე და ჩვენი ქვეყნის დანარჩენ რაიონებში 1-2 სული ღორი თვითეულ 100 ჰექტარ ნახნავზე, ისე რომ ერთი ღორის ცოცხალი წონა გასუქების დასასრულს სულ ცოტა 80 კილოგრამი იყოს.

18. ხორცისა და ქონის დამატებითი პროდუქციის მიღების მიზნით, რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს ფართოდ გამოიყენონ ღორების ჯიშთაშორისი შეჯვარება, ამასთან გამოიყენონ საქონე და სახორაცე-საქონე ჯიშების მწარმოებელი ქოსმენები.

კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეფრინველეობის განვითარების შესახებ

19. აუცილებლად ჩაითვალოს კოლმეურნეობებში მეფრინველეობის განვითარების შეუფასებლობის აღმოფხვრა. ბევრ კოლმეურნეობას დღემდე ან სულ არ აქვს მეფრინველეობის ფერმა, ანდა წვრილი ცალრეშმოსავლიანი ფერმა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ სასოფლო-სამეურნეო რაიონში ხელსაყრელი პირობები მოიპოვება, კოლმეურნეობებს მეტად უმნიშვნელო რაოდენობით ჰყავთ იხვი და ბატი. განსაკუთრებით ცუდად არის კოლმეურნეობებში ინდაურის მოშენება საქმე, რომელიც უძვირფასესი მიანური ფრინველია. სარეკუბატორო მეფრინველეობის საფუძვრთა არსებული ქსელი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ რაიონებში, საკმაოდ არ უზრუნველყოფს კოლმეურნეობათა მოთხოვნილებას ჯიშიანი ფრინველის მხრივ.

20. დაევალოს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უახლოეს წლებში მიიღონონ კოლმეურნეობებში ფრინველის რაოდენობის მკვეთრი გადიდებას, ამასთან უზრუნველყონ 1949 წელს ყველა იმ კოლმეურნეობაში, რომელსაც მარცვლეული კულტურების ნათესი აქვს, მეფრინველეობის ფერმის მოწყობა და წყალცურავი ფრინველის ფერმის მოწყობა იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც წყალსტეპთან ახლოს მდებარეობენ.

კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი ფრინველის რაოდენობა 1949 წლის დამლევისათვის აყვანილ იქნას სულ ცოტა 65 მილიონამდე, გარდა 350 მილიონი ფრინველისა, რაც ამჟამად კოლმეურნეების, მუშების, მოსამსახურეებისა და ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების პირად საკუთრებაშია. აგრეთვე გარდა იმ ფრინველისა, რომელიც საბჭოთა მეურნეობებში არის; 1950 წლის დამლევისათვის სულ ცოტა 120 მილიონამდე; 1951 წლის დამლევისათვის სულ ცოტა 200 მილიონამდე, გარდა ფრინველის იმ რაოდენობისა, რაც კოლმეურნეების, მუშების, მოსამსახურეებისა და ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების პირად სარგებლობაში იქნება, აგრეთვე გარდა ფრინველის რაოდენობისა, რაც იქნება საბჭოთა მეურნეობებში.

21. დაევალოს რაიონების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს:

ა) მოაწყონ კოლმეურნეობებში საფრინველეების შშენებლობა, რათა ფრინველის მთელი რაოდენობა უზრუნველყოფილ იქნას სადგომით, აგრეთვე მოძრავი საფრინველეების შშენებლობა, რათა გაზაფხულზე და ზაფხულში ფრინველი მინდვრად იყოლიონ მინდვრის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით და პურის მოსავლის აღების შემდეგ მარცვლეულის დანაკარგის ლიკვიდაციისათვის;

ბ) მიიღონ ზომები, რომ რაც შეიძლება მალე აღდგენილ და განმტკიცებულ იქნას არსებული საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურები, უზრუნველყოს 1949-1951 წლებში სულ ცოტა 1.800 ახალი სადგურის აშენება, ამასთან ყველა სადგურის საინკუბატორო მეფრინველეობის პარკის საერთო სიმძლავრე აყვანილ იქნას 200 მილიონ კვერცხადგილამდე, აგრეთვე შეაკეთონ არსებული საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურთა სადგომები და შეაკონონ ისინი საჭირო მოწყობილობით;

გ) მოაწყონ საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურთა გარშემო საკოლმეურნეო სანაშენო მეფრინველეობის ფერმების ქსელი იმ მიზნით, რომ ეს სადგურები უზრუნველყოფილ იქნან ქვერცხებით ინკუბაციისათვის.

22. მნიშვნელოვნად გაფართოონ საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში ინკუბატორთა წარმოება საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურებისათვის და მათი გამოშვება 1949 წელს აღეკვანონ 500 ცალამდე, 1950 წელს — 1.500 ცალამდე და 1951 წელს—1.600 ცალამდე, აგრეთვე კოლმეურნეობებისათვის წვრილი ინკუბატორების წარმოება და გადიდონ ინკუბატორების ძრავების, მოტორების, ელექტრომოწყობილობის, სათადარიგო ნაწილებისა და ხელაწყოს გამოშვება.

II

საკვები ბაზის განმტკიცების შესახებ

23. აღიარებულ იქნას, რომ საკვები ბაზის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა წარმოადგენს ამჟამად პირუტყვის სულადობის სწრაფი ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზს.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში წლითიწლობით ან სრულდება სამყურის, ითნჯის, ტიმოთელას, საკვები ჭარხლისა და სხვა საკვები კულტურების თესვის გეგმები, აგრეთვე ბალახის თიბვისა და დასილოსების გეგმები. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოლეარებისა და საძოვრების გაუმჯობესებას, ხოლო ბალახის თიბვა დიდი დაგვიანებით წარმოებს, რაც იწვევს თიბილ საკვებ თვისებათა მკვეთრ გაუარესებას. ცუდად არის გამოყენებული ბუნებრივი საძოვრები, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა წვნიანი საკვების წარმოების — სილოსის დამზადების, საკვები და შაქრის ჭარხლის, ტურნეფსის, თალგამურისა და სხვა ძირხვენების, აგრეთვე პიროტყვის საკვებად კარტოფილის მოყვანის საქმეში. არ ხორციელდება საკვები ძირხვენების, სასილოსე და საკვები ბაღჩეული კულტურების ნათესთა დროული და ჯეროვანი მოვლა, რის შედეგადაც ამ კულტურების მოსავალი მეტად დაბალია. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მარცვლეული საფურაე ფონდების შექმნას. ბევრ კოლმეურნეობაში, მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა, სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარების შესრულებისა და საათესლე ფონდების გამოყოფის შემდგომ მარცვლეულს მთლიანად ანაწილებენ შრომადღეებზე, საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის კი კოცენტრირებული საკვები არ რჩება.

24. იმ მიზნით, რომ კოლმეურნეობებში მეცხოველეობისათვის უმოკლეს ვადაში შეიქმნას მტკიცე საკვები ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს პირუტყვის უხვად კვებას როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის პერიოდებში, დაევალოს რაიონების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს უზრუნველყონ, რომ:

ა) კოლმეურნეობებში „საზოგადოებრივი მეცხოველეობის საქონლისათვის 1949 წელს აღებულ იქნას სულ მცირე 88,8 მილიონი ტონა უხეში საკვები, აქედან 53 მილიონი ტონა თივა, 1950 წელს სულ მცირე 103 მილიონი ტონა, აქედან 60 მილიონი ტონა თივა, 1951 წელს სულ მცირე 120 მილიონი ტონა, აქედან 75 მილიონი ტონა თივა;

ბ) 1949 წელს დამზადდეს სულ მცირე 38 მილიონი ტონა წვნიანი საკვები, აქედან 27,3 მილიონი ტონა სილოსი, 1950 წელს 43 მილიონ ტონა, აქედან 28,5 მილიონი ტონა სილოსი და 1951 წელს — 50 მილიონი ტონა, აქედან 30 მილიონი ტონა სილოსი;

გ) კოლმეურნეობებში 1949 წელს გაითიბოს ბუნებრივი სათიბები 47,3 მილიონ ჰექტარ, 1950 წელს — 49 მილიონ ჰექტარ და 1951 წელს — 50 მილიონ ჰექტარ ფართობზე;

დ) კოლმეურნეობებში, მათ მიერ მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შესრულებისა და საათესლე ფონდების გამოყოფის შემდეგ, შეიქმნას მარცვლეული საფურაე ფონდები მეცხოველეობის საჭიროებისათვის;

ე) თივის აღება ჩატარდეს შემჭიდროებულ ვადებში, მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება დაწყებამდე;

ვ) კოლმეურნეობებში ჩატარდეს ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ზედაპირული და ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა ფართო კომპლექსი, ამასთან ერთად ბალახეულ ბალახებისა და ბაღჩეულ ბალახებისა ნათესების ფართობი ეკავოს ბალახეულ ბალახებს, ბაღჩეულ ბალახებს, ბალახეულ ბალახებს, ბალახეულ ბალახებს, ბალახ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

საქართველოს სსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეკუტატ ჯ. ბ. ჭიჭინაძის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად შემოტანილი რესპუბლიკის 1949 წლის ბიუჯეტი, რომლის შესახებ სესიას მოახსენებს ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა რ. ა. კვირკველიამ, განსაკუთრებულ უმაღლესი საბჭოს სპეციალური კომისიამ და დამაჯერებლად მოგახსენოთ თავისი დასკვნა ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტზე.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1949 წლის ბიუჯეტის მოცულობა, რომელიც მიღებულია მინისტრთა საბჭოს მიერ და წარმოდგენილია დასამტკიცებლად, უდრის სამშვიდოსო ნაწილში 2.500.045 ათას მანეთს და საგანგებო ნაწილში 2.494.837 ათას მანეთს, ე. ი. ბიუჯეტის შემოსავალი აჭარაზეს გასაოვალს 5.208 ათასი მანეთით.

წარმოდგენილი პროექტით 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 1948 წლისათვის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით სამშვიდოსავლო ნაწილის ზრდა გათვალისწინებულია 160.393 ათასი მანეთით, ხოლო საგანგებო ნაწილისა — 162.955 ათასი მანეთით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ასეთი ზრდა ასახავს, იმ წარმატებებს, რომელსაც მიაღწია ჩვენმა რესპუბლიკამ საბჭოთა მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში.

ფულ საბჭოთა ხალხთან ერთად ქართველმა ხალხმა თავისი შეშოქმედებითი ენერგია, მამაცი ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმის წარმატებით შესასრულებლად.

1948 წელს საქართველოს მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვებაში 29,5 პროცენტით გადააჭარბა ომამდელი დონეს. გაზრდილია და ჩქარი ტემპით მიმდინარეობს უდიდესი სამრეწველო შენებლობა.

სეროიზული მიღწევებია მოპოვებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ყოველწლიურად მატულობს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი და მოსავლიანობა. 1948 წელს მიღებულია მარცვლეული და ბარკლანი კულტურების სუნელო მოსავალი თვითეულ ჰექტარზე ერთნახევარ ჯერ მეტი, ვიდრე ომისწინა 1940 წელს.

მოუხედავად იმისა, რომ ომმა განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა სუბტროპიკულ მეურნეობას, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებულ შრომის შედეგად მთელი საბჭოთა კავშირისათვის ეს მეტად ძვირფასი კულტურები შენარჩუნებულ იქნა, სულ მოკლე ხნის განმავლობაში გამოსწორებულ იქნა ომით მიყენებული ზიანი და 1948 წელს საბჭოთაფოს ჩაბარდა 24,2 პროცენტით მეტი პირველი და მეორე ხარისხის ხის მწვანე ფოთოლი, ვიდრე 1940 წელს, ხოლო ციტრუსები 63,5 პროცენტით მეტი ომამდე პერიოდთან შედარებით.

1940 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურძენის, თამბაქოს, ხეხილის, შაქრის ჭარხლის, ზეთოვანი კულტურების მოსავლიანობა. გაიზარდა პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა. საკრძალოლად გაუტეკეფენენ საბჭოთა მეურნეობები, მაწანარეკტორთა სადგურები და კოლმეურნეობები.

კოლმეურნეობების ძირითადი საწარმოო საშუალებათა ღირებულება 1940 წელთან შედარებით 162,7 პროცენტით გაზრდილა. განმტკიცდა კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინა, ყოველწლიურად მატულობს სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქცია და კოლმეურნეთა შრომადღის ანაზღაურება.

შარშან ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 47 ათას ტონამდე ჩაის მწვანე ფოთოლი, 700 მილიონამდე ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი, 43.200 ტონა ციტრუსი, 15 ათასი ტონა თამბაქოს ნედლეული, 16.600 ტონა ხიული, ბეერი მარცვლეული, შაქრის ჭარხალი, ბამბა, ბოსტნეული, ხორცის და ძროხის პროდუქტები, ტყავნედლეული, მატლარიასოვანი აბრეშუმის პარკი და სოფლის მეურნეობის სხვა ნაწარმი და ნედლეული, რითაც მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია დამზადების სახელმწიფო გეგმები.

დიდი წარმატებებია მოპოვებული ჩვენს რესპუბლიკაში კულტურული მშენებლობის ფრონტზე. ქართველი ხალხის ფორმით ნაციონალური, ხოლო შინაარსით სოციალისტური კულტურა აყვავდა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგად. განვითარდა ხელოვნება, ლიტერატურა, კინემატოგრაფია, ფიზიკური კულტურა და სპორტი.

სეროიზული მიღწევებია მოპოვებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გალმკოსებისაგან და მისი ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ყოველწლიურად იზრდება სახელმწიფო ხარჯები ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები მოფენილია სკოლებისა და ტექნიკუმების ფართო ქსელით, სადაც 700 ათასზე მეტი მოსწავლეა. მათი აღზრდის საქმეს ეშაზერება 39 ათასამდე გამოცდილი მასწავლებელი.

ჩვენს რესპუბლიკაში ყოველ 800 კაცზე ერთი ზოგადი განათლების სკოლა მოდის.

როგორც ამხანაგმა ვ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. ბ. (ბ) XIV ყრილობის ანგარშიაში „ჩვენ უკვე შესაძლებლობა გვაქვს უმჯობესი ხუთი წლის განმავლობაში მთლიანად უზრუნველყოფთ საყოველთაო საყალდებულო სწავლება ქალაქად ოშვიანა სკოლის მოცულობით და სოფლად ოკტალენიანი სკოლის მოცულობით“.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად 25 ათასზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს, ანუ 4.000-ით მეტი, ვიდრე 1940-1941 სასწავლო წელს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელიც თავის სისტემაში 40 სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს და მრავალ მეცნიერ მუშაკს ითვლიდა, დიდ სამეცნიერო ცენტრს წარმოადგენს, თავის ინსტიტუტებთან ერთად იგი დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქართველი ხალხთა მეცნიერების განვითარებისათვის.

სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობამ, ფულის რეფორმის გატარებამ, სამოქალაქო და სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებამ და ამასთან დაკავშირებით კოლეტიციულ გაჭრობაში და საკოლმეურნეო ბაზარზე ფასების დაკლებამ ხელი შეუწყო ახალთა მატების განმტკიცებას, მისი მუდმივლობით უნარის ამაღლებას. ამით ერთგვარად ეფექტი მეტად განაზარდა მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი. კოლხოს მნიშვნელოვნად შეუმცირდა ბარეკეში სამრეწველო საქონლის შეძენაზე.

ყოველივე ამან შექმნა პირობები მშრომელთა მეოდგელობითი უნარიანობის გადიდებისათვის, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ფართოდ გაშლას და შრომითი საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობების გაუმჯობესებას.

ამბანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ნათლად ასახავს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას შრომელთა საყოფაცხოვრებო, კულტურული და მატერიალური დონის შემდგომი აღმავლობისათვის.

ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროებში რიგორც წინა წლებში, ისე 1949 წელსაც, მთავარი ადგილი უკავია სოციალისტური მეურნეობის დაგროვებას.

რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სოციალისტური მეურნეობის დაგროვებიდან მარტნეს გადასახადის ანარიცხების სახით მოიღებს 1.324.474 ათას მანეთს და საწარმოთა და საქმეურნეო ორგანიზაციათა მოგების ანარიცხების სახით 219.385 ათას მანეთს, სულ 1.543.859 ათას მანეთს, რაც 183.845 ათასი მანეთით მეტია 1948 წლის ბიუჯეტთან შედარებით.

სოციალისტური მეურნეობიდან შემოსავლის ასეთი ზრდა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სამინისტროებს და საწარმოთა ხელმძღვანელებს პროდუქციის გამოშვებისა და მისი თვითღირებულების შემცირების სახით დაწესებული სახელმწიფო გეგმების შესრულების საქმეში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საკავალო ნაწილი თვალსაჩინოებს ყველა იმ ღონისძიებათა სრულად დაფინანსებას, რაც დასახულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მომდინარე წლის გეგმით.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, გასაკვირია საერთო მოცულობა ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული 2.494.837 ათასი მანეთის ოდენობით. ამ თანხის ექვ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ ი. პ. ყუჯიაშვილის სიტყვის დასასრული

რაფული, მოწინავე აგრონომიული მეცნიერების მიღწევები, რაც უფრო ამაღლებს სოფლის მეურნეობის კულტურას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდ ყურადღებას აქცევენ და სერიოზულ დახმარებას გვიწევენ ქალაქ გორის კეთილშოფლობის საქმეში.

წელს ქ. გორში შემდეგი სამეშაოები ჩამდინარეობს: დაწყებულია მუზეუმისათვის არქიტექტურულად ლამაზი შენობის მშენებლობა, აიგება რაიონული საავადმყოფო 150 საწოლით; შენდება საზოგადოება „ინტერის“ სასტუმრო; მიმდინარეობს ფიზკულტურის სტადიონის მშენებლობა; მდინარე ველოდაზე კეთდება რკინაბეტონის ხიდი; წელს დავიწყებთ წყალსადენის რეკონსტრუქციას და ელექტროენერგიის; დაიწყო პატის სატბილი ქარხნის და საკონსერვო ქარხნის მუშებისათვის სამსართულიანი საცხოვრებელი ბინის მშენებლობა. გორდა ამისა, შენდება ორასამდე ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთ-ორ სართულიანი სახლი. წელს გამოგიჩენდა აგრეთვე ქუჩების მოასფალტების და მოკირწყვლის. მიმდინარეობს ქალაქის გამწვანება და სხვა სამეშაოები.

მიუხედავად ზოგიერთი მიღწევისა, ქალაქის კეთილშოფლობისათვის წარმოებული მეშაობაში ბევრი რამ დაგვრჩა გასაკეთებელი.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე შემდეგი საბრძოლო ამოცანა დაგვისახა:

„საკმარია შემდეგში კიდევ უფრო გიგიძლეოთ დახმარება გორის საქალაქო მეურნეობისადმი და გადავაქციოთ იგი სასესხით თანამედროვე კეთილშოფლიან ქალაქად, რომელიც ღირსი იქნება იმ ისტორიული სახელისა, რითაც იგი მთელ საბჭოთა ხალხში სარგებლობს. ამ მიზნითვის შესასრულებლად მე ვთხოვ მინისტრთა საბჭოს გათვალისწინოს წელს დამატებითი თანხების გაღება შემდეგი ღონისძიებანი სამეშაოების შესასრულებლად:

1. ქ. გორის მარჯვენა მხარეს ფერხეულს ერთადერთი ხიდი, რომელიც მძიმე ტვირთების გადაზიდვისათვის გათვალისწინებული არ იყო. ვთხოვ მინისტრთა საბჭოს განიხილოს აღნიშნული საკითხი და წელს გამოგვიყოს საჭირო თანხები კვლევითი და საპროექტო სამეშაოებისათვის იმ ვარაუდით, რომ 1950 წელს შეეფიგვი ზედნიერ მტკვარზე ხიდის მშენებლობას.

2. ქალაქში შენდება ფიზკულტურის სტადიონი, რომლის ღირებულება 1,5 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს. გასულ წელს ათვისებულია ნახევარ მილიონ მანეთამდე. წელს გამოყოფილი გვაქვს ორასი ათასი მანეთი და ამრიგად სტადიონის მშენებლობა დაუმთავრებელი რჩება. ვთხოვ მინისტრთა საბჭოს წელს დამატებითი გამოგვიყოს 400 ათას მანეთამდე, რომ მთავარი სამეშაოები წელს დავამთავროთ და შეეფილთ ფიზკულტურულ ლონისძიებათა გატარება.

3. ვთხოვ მინისტრთა საბჭოს დაავალოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარ სარეკონტეროო სამმართველოს და გიდოს საბჭოთა თანხებში ქალაქ გორის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შესადგენად, რომლის უფროსლობა საგრძნობლად გვიშლის ხელს ქალაქის რეკონსტრუქციის განხორციელებაში.

4. „საქართველოს სსრ ქარხლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, გამაკეთილებელი სამრეწველო მეხილეობისა და მეფუნაბეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისარიათა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების მეცხრე თავში, რომელიც წყალთა მეურნეობას ეხება, ნათქვამია: „1942-44 წლებში ჩატარდეს სამეშაოები მდინარე ჭარეულის რეგულირებისათვის და მდინარე ლიახვის ნაპირების გასამაგრებლად სოფელ კარალეთთან და ქალაქ გორის რაიონში“.

როგორც ცნობილია, მდინარე ლიახვი წყალდიდობის პერიოდში დიდ საშიშროებას უქადდა ქ. გორს. ვთხოვ მინისტრთა საბჭოს განიხილოს სოფელ კარალეთთან მდინარე ლიახვის ნაპირების გამაგრების საკითხი იმ ვარაუდით, რომ მიმდინარე წელს ჩატარდეს საპროექტო სამეშაოები, რომელთა ღირებულება იქნება დაახლოებით 120-150 ათასი მანეთი და 1950-1951 წლებში დაწყებულ იქნას შენებლობა.

ამხანაგო დეპუტატებო! უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე დასამტკიცებულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი, 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სავსებით შეესაბამება ინსტრუქციებით ხუთწლიდის მეოთხე წლის ამოცანებს, მოიშუშს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური ძლიერების განუწყვეტი ზრდას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ყველა პირობას ქმნის ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი, აყვავებისათვის, იგი მთლიანად შეესაბამება სტალინური ხუთწლიდის მეოთხე წლის ამოცანებს. ამიტომ შემოქმედს წინადადება, რომ წარმოდგენილი 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი — სახელმწიფო კომისიის მიერ შეტანილი დამატებებითა და შესწორებებით — დამტკიცდეს.

გიუმარჯოს ხალხთა ბეღლის დიდ სტალინს! (მეჭუხარე ტაში).

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲝᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲜᲝ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 18 აპრილი. (საკდესი). პარლამენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტმა მოწოდებით მიმართა უნგრეთის ყველა მშრომელს, ყველა ამორჩეველს. მოწოდებაში ნათქვამია:

„ხალხი ახალ პარლამენტს ირჩევს ახალი არჩევნები უნდა დანიშნულიყო ოქტომბერს, რომ ხალხს შეეძლოს თქვას, იწონებს თუ არა იმ ძირითად ცვლილებებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ორნახევარი წლის განმავლობაში მოხდა; იწონებს თუ არა მსხვილმემამულეური და კაპიტალისტური რეაქციის და უცხოელ იმპერიალისტთა აგენტების ჩამოშორებას პოლიტიკური ცხოვრებისაგან; იწონებს თუ არა ამშვიდობამ პოლიტიკას, რაც მიმართულია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის, ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომისა და თავისუფლების დაცვისაკენ; მხარს უჭერს თუ არა ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას, რაც მიმართულია ჩვენი ქვეყნის შენებლობისაკენ და რაც უზრუნველყოფს ჩვენი სამშობლოს შემდგომ აღმავლობას; ანდობს თუ არა ჩვენი ქვეყნის მართვას უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტს, მუშათა კლასის მტკიცე, ნაკადი ხელმძღვანელობას, მუშათა კლასისა, რომელიც დაკავშირებულია მშრომელ გლეხობასთან“.

„პარლამენტის არჩევნებში უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტში გაერთიანებული პარტიები და ორგანიზაციები საერთო სიით გამოდიან. მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, შრომელთა მასები ერთად იბრძვიან საუკეთესო მომავლისათვის, ერთად გამოდიან არჩევნებზეც“.

უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტი მოუწოდებს ამორჩეველებს — მოწონონ სახალხო დემოკრატიის მიერ დღემდე შესრულებული უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა.

მოწოდებაში აღნიშნულია სახალხო დემოკრატიის უდიდესი მიღწევანი: უნგრეთის მეურნეობის წარმოებითი აღდგენა, მიწის რეფორმა, მრეწველობიდან, ტრანსპორტიდან და მსხვილი ვაჭრობიდან ექსპლოატატორების განდევნა და სხვ.

უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტი ამორჩეველს მოუწოდებს მოიწონონ ხუთწლიანი გეგმა. მოწოდებაში ჩამოთვლილია ხუთწლიანი გეგმის მიზნები, რომლის განხორციელების პროცესში უნგრეთი ინდუსტრიალიზებულ იქნება.

„ხუთწლიანი გეგმა, — ნათქვამია მოწოდებაში, — ეს არის ძალიან განვითარებული პროგრესული, აყვავებული სოფელი, ბედნიერი ხალხი! ხუთწლიანი გეგმა არის ახალი სოციალიზმის ნაგებობა, ექსპლოატაციისაგან თავისუფალი, შრომასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული სოციალიზმისაკენ მემავალი გზა! ხუთწლიანი გეგმა ჩვენს ქვეყანაში საცეცქველ ჩიტურას სოციალიზმს.

ვინც ხმას აძლევს სახალხო ფრონტს, ის ხმას აძლევს ხუთწლიან გეგმას! ვინც ხმას აძლევს ხუთწლიან გეგმას, ის ხმას აძლევს საკუთარ ბედნიერებას, ბედნიერს, ძლიერს, დამოუკიდებელ უნგრეთს!

უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტი მოუწოდებს ამორჩეველებს მოიწონონ უნგრეთის სახალხო დემოკრატიის სამშვიდობო პოლიტიკა. მოწოდებაში ნათქვამია, რომ ჯერ ოთხი წელია არ გასულა ომის დამთავრების შემდეგ, იმპერიალისტური წრეები კვლავ ამზადებენ ახალ ომს და ხელყოფენ ხალხთა თავისუფლებასა და მშვიდობას. ამერიკელ იმპერიალისტთა მფარველობით შეიქმნა სამხედრო კავშირი, რომელიც მიმართულია მშვიდობის, სოციალისტური სამშობლო კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, მათ შორის უნგრეთის წინააღმდეგ.

„ჩვენ გვსურს მშვიდობა, — ნათქვამია მოწოდებაში, — რათა ვაშენოთ და ვიყოთ ბედნიერნი! ჩვენ არ ვცრეკთ სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, მაგრამ ნებას არავის მივცემთ ჩვენს საშინაო საქმეებში ჩაერიოს... ჩვენ ბრძოლაბრ მივყვებით თავისუფლებს მოყვარე ხალხებს, ჩვენს მოკავშირეს და განშათავისუფლებელ — სამუშაო კავშირს და მეგობრულ სახალხო დემოკრატიებს მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში!

არჩევნების დროს ჩვენ ვუპასუხებთ ომის წამქეზებლებს!—ხელს ნუ ახლებთ უნგრეთი ხალხის მშვიდობას, ხელისუფლებასა და დამოუკიდებლობას!“

შემდეგ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ უნგრეთის სახალხო დემოკრატიამ დიდი გზა განვლო, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამე აქვს გასაკეთებელი. „ჩვენ გვსურს, — ნათქვამია მოწოდებაში, — გაგხადოთ ის კიდევ გაგხდით ჩვენს რესპუბლიკას სახალხო რესპუბლიკად ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ხალხს ფართო მასება კონტროლს უნდა უწევდნენ ხელისუფლების ორგანოებს, სახელმწიფო აღმინისტრაციაში უნდა ჩავაბათ ათი ათასობით მშრომელი ადამიანი“.

მიმართავს მოწოდებს უნგრელ მშრომელებს — ხმა მისცეს უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტის კანდიდატებს.

მოწოდებას ხელს აწერენ: უნგრეთის მშრომელთა პარტიის სახელით მატიას რაკოში, წვრილ სოფლის მეურნეთა დამოუკიდებელი პარტიის სახელით — იშტვან დობი, ეროვნულ-გლეხური პარტიის სახელით — ფერენც ერდეი, უნგრეთის დამოუკიდებელი დემოკრატიული პარტიის სახელით — იშტვან ბალოგა, უნგრეთის რადიკალური პარტიის სახელით — ფერენც ბარენი, უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს სახელით — ანტალ ბპრო, მშრომელ გლეხთა და სასოფლო-სამეურნეო მუშათა სრულიად უნგრეთის კავშირის სახელით—დიული რაცი, უნგრეთის დემოკრატიული ქალთა კავშირის სახელით — მაგდა ობორუ, უნგრეთის სახალხო ახალგაზრდობის კავშირის სახელით — დერენ ნინი.

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ, ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 17 აპრილი. (საკდესი). უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთმოქმედების ხელშეკრულების ხელმოწერის დროს საგარეო საქმეთა მინისტრებმა კლიმენტისმა და რაკოკამ სიტყვით მიმართეს ერთმანეთს.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლიმენტისმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელშეკრულება საფუძველს უყრის უნგრეთ—ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის ახალ ისტორიულ პერიოდს. კლიმენტისმა განაცხადა, რომ ორივე ქვეყანაში ამჟამად ძალაუფლება შრომელი ხალხის ხელშია და რომ ამან შეესაძლებელი გახადა მოესპონა ის ძალები, რომლებიც ორ ხალხს შორის ურთიერთობაზე ბლოკების მიზეზს წარმოადგენდნენ. კლიმენტისმა აღნიშნა, რომ სოციალიზმის მშენებლობა და ერთა შორის ახალი ურთიერთობის დამყარება შეუძლებელია, თუ არ იქნა საბჭოთა კავშირთან სრული და უალრესად მჭიდრო თანამშრომლობა.

ეს თანამშრომლობა, თქვა მან, ჩვენი საღელეგზიფიერებიდან ეროვნებათა ბერძნებისა და თავისა-ვადობის ყველაზე სიმტკიცე გარანტია. ჩვენი ერების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ ჩვენ კავშირს ვამყარებთ საერთო საფრთხის წინააღმდეგ, გერმანიის იმპერიალიზმის მესანარი აღორძინების საფრთხის წინააღმდეგ.

თუმცა ახლანდელი ხელშეკრულებით, განაგრძო კლიმენტისმა, ჩვენ ვიფართოებთ ფერმანიის იმპერიალიზმისა და ყოველი მისი მოკავშირის წინააღმდეგ მიმართულ ორმხრივ შეთანხმებათა ქსელს, მაგრამ არც ეს და არც რომელიმე სხვა ჩვენი ხელშეკრულება არ არის მიმართული გერმანელი ხალხის წინააღმდეგ ან ომის წინააღმდეგ, რომ მისთვის ცხოვრების ისეთი პირობები შეიქმნას, რომლებიც მას მთელ მსოფლიოსთან მშვიდობიანი თანაარსებობისა და შერიგების შესაძლებლობას მისცემენ.

გიორგიოლუფი ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად დადებულ ჩვენს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, თქვა შემდეგ კლიმენტისმა, წინ არ უძღოდა ისტერიული და გიერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა წევრთა წინააღმდეგ მიმართული ალიანსი, ეკრარენ, წინ არ უძღოდა საერთო ევროპული ტაბანის ან საომარი ბაზების შექმნა. ჩვენი მეგობრული ხელშეკრულების შექმნას თან არ ახლავს სამხედრო ხარჯების ზრდა ან ხალხთა შორის ეკონომიური ურთიერთობის შეზღუდვა.

კლიმენტისმა აღნიშნა, რომ ეს ხელშეკრულება ემსახურება არა მარტო ხელშეკრულების დამდები ერების ინტერესებს, არამედ ხალხთა შორის ფართო თანამშრომლობის საქმესაც, მშვიდობის საქმეს, ე. ი. მთელი კაცობრიობის საქმეს.

სსრკ-ხალ-დემოკრატიულ ჩეხოსლოვაკიას, თქვა თავის სიტყვაში უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რაიკმა, და სახალხო-დემოკრატიულ უნგრეთს საერთო გზა და საერთო მიზანი აქვთ — სოციალიზმის აშენების გზით მიაღწიონ ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებელი ხალხების ეკონომიურ კეთილდღეობასა და კულტურულ აღმავლობას.

დღეს, ისევე როგორც წარსულში, განაგრძო რაიკმა, ჩვენი ხალხების მშვიდობასა და მოამეკლის გერმანული საფრთხე ემუქრება. დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები ამკარად ახორციელებენ ფაშისტური გერმანიის აღდგენას და ატლანტიკის პაქტის გზით ალიზენზენ ისეთ სამხედრო ბლოკს, რომელიც მიმართულია დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც ჩვენ დღეს დავდეთ, მიმართულია არ არის ვინმეს წინააღმდეგ. მისი მიზანია ჩვენი მშვიდობის დაცვა და საყოველთაო, მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა. ამრიგად ჩვენ განვამტკიცებთ ჩვენს უშიშროებას და მშვიდობის იმ მძლავრ ფრონტზე, რომელსაც მთელი პროგრესული კაცობრობიის სასარგებლოდ საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს.

ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში ჩვენ მადლობისა და სიყვარულის გრძნობით მივმართავთ სოციალისტურ საბჭოთა კავშირს და მის ბელადს დიდ სტალინს. საბჭოთა კავშირმა უდიდესი მსგავრსოა გაუბედი გათავისუფლა ჩვენი ხალხები, მისცა ჩვენს ხალხებს შესაძლებლობა ხელი აიღონ თავიანთი ქვეყნის ხელმძღვანელობა, მისი დაჩქარებით შეეძელით ჩვენ დავმდგარიყავით დამოუკიდებელი, თავისუფალი, თავისთავადი და დემოკრატიული ეროვნული პოლიტიკის გზაზე; ამ პოლიტიკა ნაყოფია, სხვათა შორის, დღეს ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომელიც განამტკიცებს ჩვენს მეგობრობასა და თანამშრომლობას.

სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის პროგესი

პრაღა, 17 აპრილი. (საკდესი). სტუდენტთა საერთაშორისო კავშირმა ნანკინის ხელისუფალთ გაუგზავნა სასტიკი პროტესტი, რომლითაც 54 ქვეყნის 3 მილიონი სტუდენტის სახელით მოითხოვეს ნანკინის 6.000 სტუდენტის აწოგაკეთის მოშენებთა დასაკლა. როგორც ვიუწყებოდით, სტუდენტებმა გომინდანური მთავრობის საზაკი დელეგაციის ბეიბინს გამგზავრების მომენტში დემონსტრაციი მოაწყეს. მათ მოითხოვეს ჩინეთის კომპარტიის საზაგო წინადადებათა მიღება.

სტუდენტთა აზოოკებისას გომინდანს ჯარამ და პოლიციელებმა 100-ზე მეტი სტუდენტი მოკლეს ან მძიმედ დაჭრეს.

ᲓᲔᲙᲔᲜᲯᲘᲡ Ა. Ა. ᲒᲐᲒᲣᲜᲘᲐᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

(ᲭᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘ)

ამხანაგო დეპუტატებო! კოლხიდის დაბლობის ამოშრობას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ასრულებდა რა ამხანაგ სტალინის უშუალო მითითებებს, კოლხიდშენის კოლეკტივებმა, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, უკვე განახორციელა დიდი მოცულობის სამშენო-ომის შემდგომი ხუთწლიდის დაწყებამდე ამოშრობილი იქნა 9 ათასი ჰექტარი ფართობი. მიმდინარე ხუთწლიდის გეგმით გათვალისწინებული 20.000 ჰექტარიდან 1949 წლის დამდეგისათვის ამოშრობილია 10,3 ათასი ჰექტარი. ახალ მიწებზე კოლეუურნეობებს უკვე უხვი მოსავალი მოპყავთ.

ხუთწლიდის დამთავრებამდე დარჩენილ პერიოდში კოლხიდშენმა 10 ათასამდე ჰექტარი მიწა უნდა ამოშროს, გაანალოს და დამთავროს კოლხიდის წყალსადენის, მდინარე ხობის ხიდის, რიგების, არხებისა და საცხოვრებელი სახლების შენებლობა.

1949 წლის დამლევამდე განხორციელია დაიწყოს მოსამზადებელი სამუშაოები მდინარე რიონზე ქეფი კალაპოტის სარეკონსტრუქციოდ. სამეშაოთა პროექტი ითვალისწინებს მდინარე რიონზე კაშალის აგებას ქალაქ ფოთის ახლოს. ეს ამაე დროს ხელსაყრელ პირობებს შექმნის მარცვენა ნაპირის ჭაობების კოლმატაციისათვის.

ქალაქ ფოთის მიდამოებში კოლხიდშენი დიდ სამეშაოებს ასრულებს რეფფლარეების მეთოდით ჭაობების ამოსავსებად. ეს სრულიად მოსპობს ჭაობებს ქალაქის ჩრდილოეთით. ეს შესაძლებელი გახდა ამის გამო, რომ ადგილზე ერე მოეწყო მიწასასრეტის ზარმოება. 1947 წლიდან კოლხიდაში ორსაბის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალური სამშენებლო-სამონტაჟო კანტორა, რომელიც ამჟამად მიწასასრეტებით ამარაგებს სამჭოთა ქალაქების სხვა შენებლობებსაც.

1946 წელს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საყოველთო მთავრობის წინაშე დააყენა კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამეშაოთა გაძლიერების საკითხი, რის შედეგადაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საკავშირო გადაწყვეტილება მიიღო.

კოლხიდის დასასრულად პირველ რიგში უნდა გაჩაღდეს წყალსადენის მშენებლობა, რაც ფერხდება მიღების უქონლობის გამო. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ეს მიღება უნდა გამოგვიყოს 1949-1950 წლების განმავლობაში. კოლხიდშენს უნდა გამოეყოს აგრეთვე საჭირო საფურველი—ექსკავატორები, ავტოთვითმცარელები, მოძრავი ელექტროსადგურები, ბულდოზერები, ტრაქტორები და ს